



საზოგადოებასთან ურთიერთობა - ციცია მამულაშვილი

ტელ: +995 599 24 83 82,

+995 322 97 41 03

ელ-ფოსტა: [Tsitsia.mamulashvili@georgianwine.gov.ge](mailto:Tsitsia.mamulashvili@georgianwine.gov.ge)

[www.georgianwine.gov.ge](http://www.georgianwine.gov.ge), [www.facebook.com/Wines.of.Georgia](https://www.facebook.com/Wines.of.Georgia)

## ღვინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები

(იანვარ-დეკემბერი)

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს.

წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა.

ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 18 308 177, ყაზახეთი - 5 195 949, უკრაინა - 3 412 453, ჩინეთი - 2 672 154 და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი.

მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის საერთო მაჩვენებელი შემცირებულია მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რამდენიმეწლიანი ემბარგოს შემდეგ გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამ ქვეყანაში ექსპორტმა პიკს მიაღწია. მაგალითისთვის, 2012 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 23,3 მლნ ბოთლი ღვინო, 2011 - 19,0 მლნ ბოთლი, 2010 - 14,8 მლნ ბოთლი, 2009 - 10,9 მლნ ბოთლი.

ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია.

გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 118 890 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.